სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსეგ ნონეშვილი

№ 18 (4539) • 28 დეკემბერი • 2016 წელი • • • • • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 1 ლარი •

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ჩვენი მეკვლეა თბილისის 140-ე საჯარო სკოლა

ხელხვავიანი ხვლებიან

განათლების სისტემის უმთავრესი მიზანია სწავლებისა და სწავლის ეფექტიანობის ამაღლება, მოსწავლეთა მიერ ხარისხიანი, კონკურენტუნარიანი ცოდნის მიღება. ვინ უნდა შეძლოს ეს? მათემატიკური ენით რომ ვთქვათ, ძლიერი მასწავლებელი პირდაპირპროპორციულია დიდი წარმატებისა. თუ სასურველ დონეზეა მოსწავლეთა ანალიტიკური აზროვნების უნარ-ჩვევები, გვყავს ბევრი სწავლაში წარჩინებული, სასწავლო-შემოქმედებით ოლიმპიადებში,

კონკურსებში გამარჯვებული მოზარდი, ჩათვალე, რომ მიზანი მიღწეულია.

თბილისის სახელოვან 140-ე საჯარო სკოლაში ძლიერი პედაგოგები მოღვაწეობენ. ქვეტექსტი გასაგებია.

პედაგოგიურ კოლექტივს დედაუნივერსიტეტის აღზრდილი, ერუდირებული, შემოქმედი დირექტორი **ნინო ასანიძე** უძღვება. მას მხარს უმშვენებენ ასევე გამოცდილი მოადგილეები: **თამთა ნაკაშიძე** და **ლალი კაპანაძე**, ადმინისტრაციის წევრები: **თამაზ ოთიაშვილი** და **მარი ჯაში**.

საახალწლოდ ამ სკოლაზე რედაქციამ ჩინებული, ღვაწლმოსილი მასწავლებლის **ცია ბორცვაძის** ვრცელი, თემატურად მრავალფეროვანი წერილი მიიღო. ილიას დავესესხები, დიდებულად მოქართულე ავტორი ჟურნალისტის მადლცხებულია. წერილში საუბარია სახელოვანი სკოლის ისტორიაზე, დღეს მოღვაწე პედაგოგებზე, მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით აქტივობა-მიღწევებზე. ჩვენი გაზეთის ფორმატიდან გამომდინარე, რადგანაც ამდენ ტვირთს ერთბაშად ვერ მოვერეოდით, გადავწყვიტეთ: დღევანდელ ნომერში, როგორც საახალწლო ნობათზე, მხოლოდ მოსწავლეთა წარმატებებზე გვესაუბრა, სხვა დანარჩენს მომავალ ნომერში ვრცლად შევეხებით. მითუფრო, ახლო მომავალში სკოლას ნახევარსაუკუნოვანი იუბილე დაუდგება.

* * *

მაშ ასე: ამ სკოლაში მოსწავლე-ახალგაზრდობა საინტერესო, მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობს, მაღალია მათი სასწავლო-შემოქმედებითი ჩართულობა, აქტივობები და სასიხარულოსაამაყოა შესატყვისი შედეგები. ვიწყებთ მე და ქალბატონი ცია ერთობლივად საუბარს. გამარჯვებული იმდენია, ყველას ვინ ჩამოთვლის, მაგრამ მათგან გამორჩეულთა არხსენება ცოდვა იქნებოდა. „ახალგაზრდობა – იმედი ხვალის!“ ჯერ მხოლოდ ახალგაზრდა, შემოქმედ პედაგოგებს ჩამოვთვლით, რომლებიც გულმხურვალედ მუშაობენ მოსწავლეებთან. დროებით გული ნუ დაგწყდებათ, ღვაწლმოსილნო, რამეთუ მორიგ ნომერში თქვენს შესახებაც ვრცლად ვისაუბრებთ, ე. ი. მიეზღვება „კეისარს კეისრისა“. ეს დანარჩენი კი ციას სიტყვებია: „თავს ვიწონებთ იმ ახალგაზრდებით, რომლებმაც თავიანთ პროფესიად პედაგოგობა აირჩიეს და სრულიად უპრობლემოდ, მაღალი პასუხისმგებლობით წარმართავენ საყვარელ საქმეს: **მანანა კაპანაძე**, **ეკა ჟურულიშვილი**, **ნათია შიუკაშვილი**, **ნინო ბაწელაშვილი**, **ეკა მაღლაკელიძე**, **მაია წულაძე**, **მადონა ჩიკვილაძე**. აი, ჩვენი ოქროს ფონდი! მათი მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ როგორც სასკოლო, სარაიონო, ისე საქალაქო და რესპუბლიკურ ღონისძიებებში. საახალწლოდ **„მოსწავლეთა თეატრი“** სკოლის სააქტო დარბაზში (რომელიც სკოლის დირექტორის ძალისხმევით სანიმუშოდ მოწესრიგდა) ბერტოლდ ბრეხტის სპექტაკლს, **„კავკასიური ცარცის წრეს“** დადგამს და ყველას გაგვახარებს.

ხელონების პედაგოგის **ია გაგუას**, ფიზაღზრდის მასწავლებლების: **ლიდა ჩიტაძის** და **ნატო ლოლუას** აღსაზრდელებმა დიპლომებითა და სიგელებით ასახელეს სკოლა. სამოქალაქო განათლების ოლიმპიადაში გაიმარჯვა **ნიკო ცალანმა** (XI კლ.).

გამოვლინდნენ **„საუკეთესო მკითხველები“**: მეთერთმეტე პირველკლასელებმა **ლუკა ანჯაფარიძემ** და **გიორგი პატაშურმა** „შოთა რუსთაველი – 850“ იუბილესადმი მიძღვნილ კონკურსში (პედაგოგი – **ცია ბორცვაძე**) „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესოდ წაკითხვისათვის უკვე მეორედ, დიპლომი და სიგელი დაიმსახურეს.

თბილისის დიდუბის რაიონის სკოლის მოსწავლეთა კონკურსში მონაწილე

მეთერთმეტეკლასელი **ნინო სარალიძე** საუკეთესო **ესეს** დაწერისათვის გამარჯვებულთა ხუთეულში მოხვდა და სპეციალურ ჟურნალში ჩაიწერა მისი ნაშრომი სახელწოდებით **„ომი და მშვიდობა“**.

საგნობრივ ოლიმპიადებსა და ტურებში წარმატებას მიაღწია: **ნათია სარალიძემ**. შარშან მედალოსანი გახდა **ნინო კალაძე**. მერიის საგრანტო პროექტების კონკურსში სკოლამ გაიმარჯვა (პედაგოგი **მარინე მამულაშვილი**, საპრიზო გონდი 2000 ლარი).

„თვით ჯაბანს კაცსა გაამხნევებს კარგი კაცისა სარდლობა“ – ბოლოს ამ შეგონებას შეგვახსენებს ქალბატონი ცია და ეს სკოლის ხელმძღვანელთა მისამართითაა ნათქვამი უთუოდ.

ახალ წელს, ახალ გამარჯვებებს და სიხარულს გისურვებთ, 140-ე სკოლელებო!

ცია ბორცვაძე,
ბორის მიშველაძე

რედაქტორის P.S.. ეს წერილი გაზეთისა და სკოლის, ჟურნალისტისა და პედაგოგის თანამშრომლობის სანიმუშო მაგალითია.

ბუხრან მაჭავარიანი



გილოცავ!

გილოცავ! გილოცავ!
ახალ წელს გილოცავ
შენ, ვისაც სამშობლო გიყვარს,
გელა ხარ! თინა ხარ!
შოთა ხარ! ცირა ხარ!
ეს სულერთია – ვინ ხარ.
ახალი წელია...
თოვლიც გვესალმება...
თოვლიც გვესალმება ციდან.
– ცრემლები?! – ცრემლებზე –
ბოდიში!
– ღიმილი?! – ღიმილი
რამდენიც გინდა.
ბავშვებო! თქვენსავით
მეც ვიყავ მოსწავლე.
მე დღესაც არ ვსწავლობ განა?
ამიტომ ერთმანეთს,
ამიტომ ერთმანეთს
ვუსურვოთ ხუთებზე სწავლა!
გიყვარდეს სამშობლო,
სიმართლე გიყვარდეს
გიყვარდეს, გიყვარდეს წიგნი.
რაც უნდა ისურვო,
რაც უნდა ინატრო, –
ესაა ყველაზე დიდი.
გილოცავ! გილოცავ!
ახალ წელს გილოცავ
შენ, ვისაც სამშობლო გიყვარს...
ზაზა ხარ! ლაშა ხარ!
ვაჟა ხარ! ნინო ხარ!
ეს სულერთია – ვინ ხარ!

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

თბილისის 152-ე საჯარო სკოლა სანიმუშოა

ახალი წლიდან ბევრი სიახლე დაინერგება

დედაქალაქის მოწინავე საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი თბილისის 152-ე საჯარო სკოლას უკავია. იგი ვარკეთილის მესამე მასივშია განთავსებული და პერიფერიული მდებარეობის მიუხედავად, საკმაოდ პრესტიჟულია და მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული.

სკოლაში სტუმრობისას, ნამდვილად მოიხიბლებით წესრიგით, სისუფთავით, დისციპლინით და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესით. აქ მუდამ შემოქმედებითი განწყობა სუფევს და მოსწავლეთა წარმატებებით პედაგოგები ამაყობენ. სკოლის შენობა და ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია. საკლასო ოთახები, კაბინეტები და დარბაზები გარემონტებულია და აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით.

152-ე საჯარო სკოლის დირექტორი გახლავთ ღვაწლმოსილი პიროვნება და შესანიშნავი მენეჯერი **თამარ გურაშვილი**. ქალბატონი თამარი პროფესიით მათემატიკოსია, სერთიფიცირებულია და 34 წელია პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა, ხოლო ოცდაათ წლიანი დირექტორობის გამოცდილება აქვს. ის, სრულიად ახალგაზრდა – 26 წლის იყო, როცა სიღნაღის რაიონში დაინიშნა სკოლის ხელმძღვანელად და იქ საკმაოდ დიდხანს და ეფექტურად იმუშავა. მოგვიანებით კი, თბილისის ერთ-ერთ კერძო სკოლაში განაგრძო პედაგოგიური საქმიანობა.

ქალბატონი თამარი ექვსი წელიწადია, რაც სამეურვეო საბჭომ 152-ე სკოლის დირექტორად აირჩია და ამ ხნის მანძილზე, სკოლა მართლაც მოაწესრიგა და ააღორძინა.

თამარ გურაშვილი: ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი დირექტორობის პერიოდში სკოლაში ბევრი რამ გაკეთდა. ინფარსტრუქტურა მოწესრიგდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, ასევე სკოლის ბიუჯეტით და სხვადასხვა პროექტებით. კერძოდ, სამინისტროს მიერ გალამაზდა გარე ფასადი, ჰოლები, სველი წერტილები, სპორტული დარბაზი, მოსწავლეთა რესურსოთახი; ასევე სკოლის ბიუჯეტიდან დანაზოგით გარემონტდა საკლასო ოთახები, სამასწავლებლო, საკონფერენციო ოთახები, კაბინეტები, გარე განათება და სამეთვალყურეო კამერები.

აღსანიშნავია, რომ სკოლაში, თურქეთის კორდინაციისა და განვითარების სააგენტოს **„თიკას“** მიერ განხორციელდა პროექტი: **„მეგობრობა“**, რომლის ფარგლებში, 500 მოსწავლეზე გათვლილი სააქტო დარბაზი გაკეთდა და აღიჭურვა ინვენტარით, აპარატურით. ასევე, **იუნეს ემბრეს** სახელობის თურქული კულტურის ცენტრისა და თურქეთის საელჩოს მიერ გაიხსნა – თურქული ენის კაბინეტი, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეისწავლონ მესამე ენა თურქული. ასე რომ, ინფრასტრუქტურა სკოლაში დამაკმაყოფილებელია. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი კაბინეტები: ფიზიკის, ქიმიის, ინფორმატიკის, ბიოლოგიის, მუსიკის, ხელოვნების, სამოქალაქო განათლების, უცხო ენის. ასევე, მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის განკუთვნილი საკონფერენციო ოთახები.

152-ე სკოლა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით და სასწავლო პროცესი მაღალ დონეზე მიმდინარეობს. დირექტორი მაღალ შეფასებას აძლევს მისი მოადგილეების: **ნანა ლეშკაშელის** და **იზოლდა ჩუთლაშვილის** საქმიანობას. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეა აქტიური მშობელი **ნანა თიდაძე**. აქ სულ 51 პედაგოგია, აქედან 34 პრაქტიკოსია. 17 უფროსი მასწავლებელი. ერთ-ერთი მათგანი – **სოფიკო ბებერაშვილი** 1000 ლარიანია, ხოლო 3-ფასილიტატორი: **ნინო გოგოლაძე-მაჭარაშვილი**, **ლილი დავითური** და **ქეთევან ალექსიშვილი**.

სკოლაში წარმატებით ფუნქციონირებს 7 კათედრა. მათი ხელმძღვანელებია: ქართული ენისა და ლიტერატურის – **ლალი ტურაშვილი**, მათემატიკის – **თეა გოჩიტაშვილი**, უცხოური ენის – **ნინო გოგოლაძე-მაჭარაშვილი**, საბუნებისმეტყველოსი – **ია ამაშუკელი**, საზოგადოებრივი მეცნიერების – **დოდო მდინარაძე**. ესთეტიკის კათედრის – **მერი მანგოშვილი**. დაწყებითების კათედრის – **ირმა პაპუაშვილი**.

საგულისხმოა, რომ სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელმა **მაია ოღრაპიშვილმა** 5-ჯერ წარმატებით ჩააბარა სასერთიფიკაციო გამოცდა და სერთიფიკატი აიღო სხვადასხვა საგანში. ქალბატონმა მაიამ, მონაწილეობა მიიღო **„მაი კროსოფტის“** მიერ მომზადებულ კონფერენციაშიც, სადაც გაიმარჯვა და გადაეცა სერთიფიკატი, ასევე გაიმარჯვა კონკურსში და გადაეცა სერთიფიკატები: **„მასწავლებელი ექსპერტი“** და **„ინოვაციური მასწავლებელი“**.

შარშანდელი სასწავლო წელი ნაყოფიერი იყო სკოლისთვის, რადგან 49 კურსდამთავრებულიდან 41 სტუდენტი გახდა. აქედან 7-მა მოსწავლემ მოიპოვა 100 პროცენტიანი გრანტი და 29 მოსწავლე გახდა სხვადასხვა დაფინანსების მფლობელი. ოქროს მედალოსანმა **ელენე კუკულაძემ** კი, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოიპოვა 100 პროცენტიანი გრანტი და ყველაზე მაღალი საგრანტო ქულა.

აქ მუდამ შემოქმედებითი პროცესია, მოსწავლეთა დიდი ნაწილი ჩართულია ოლიმპიადებში, კონკურსებსა და სხვადასხვა აქტივობებში. **„სმარტის“** ფინალურ ეტაპზე, ათ საუკეთესო მოსწავლეთა შორის მოხვდა

და დაჯოლდოვდა, მე-3 კლასის მოსწავლე **მარიამ ყიფშიძე** (მასწავლებელი **ლია ბურდული**). წარმატებული მოსწავლე **ელენე ტეტელოშვილი** კი, **„სმარტის“** ოლიმპიადის ფინალისტი გახდა. იგი, ორი დღით იყო გუდაურში და იქ აიღო **„გოლდ კარტა“** (მასწავლებელი **თამარ არბოლიშვილი**).

შარშან, მარტში თურქეთის საელჩოს დახმარებით, მოსწავლეთა 49-ე საერთაშორისო ფესტივალზე, ანკარაში გაემგზავრნენ მოსწავლები **ანა თაბაგარი** და **ნინო ჩხობაძე**, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს 38 ქვეყნიდან წარმოდგენილ ბავშვებს შორის, სადაც გამოაცხვეს მშვიდობის პური და წარმოაჩინეს ქართული კულტურა. ასევე, აპრილში ქალაქ **ორდუში**, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად, 10 მოსწავლე გაემგზავრა მეგობრული პროგრამით.

სკოლაში, დიდი ყურადღება ექცევა ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას და მაღალ დონეზეა სპორტის სწავლება. მოსწავლეები ჩართულნი არიან სპორტის სხვადასხვა სახეობებში და დიდ წარმატებებს აღწევენ (მასწავლებელი **მარინა პეტროსიანი**). ეამაყებათ, რომ სკოლას ჰყავს მოცურავე **ირაკლი კვარაცხელია** და მოჭიდავე **გოგა ქევხიშვილი**, რომელიც მსოფლიო ჩემპიონი გახდა. **გიორგი პაპავას** კი, წარმატებები აქვს ძიუდოში და არის სიგელების და მედლების მფლობელი. კარგი მაჩვენებლები აქვს ძიუდოში **ნიკა ელყანაშვილს** და **მახარე ბანძელაძეს**, **ნიკა ჯიმღაშვილს** კი კალათბურთში.

დირექტორის თქმით, სკოლაში ხშირად ტარდება სასწავლო თუ აღმზრდელობითი ღონისძიებები, როგორც ერთობლივი, ასევე ცალკეულ კლასებში. შარშან, გრანდიოზულად აღინიშნა მაწავლებლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ პარლამენტარები, საკრებულოს დეპუტატები, გამგეობის წარმომადგენლები, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი **მაია კობახიძე** და სხვები. ღონისძიება გაიმართა სათნოების სახლის ბენეფიციალებისთვის სახელწოდებით – **„ჩვენც დავბერდებით“**.

ასევე, შეგვიძლია გამოვყოთ ქართველი და თურქი ბავშვების მეგობრობისთვის მიძღვნილი ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდა თურქეთის ელჩი ბატონი **ზექი ლევენთ გუმრუფჩუ**. თურქეთის რესპუბლიკის ელჩის მოადგილე საქართველოში **მუთიბერ ქილიჩი** და თბილისის **იუნუს ემრეს** სახელობის თურქული კულტურის ცენტრის დირექტორი **ზექერია გულთექინი**.

სკოლას ხშირად სტუმრობენ ჩვენი საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები, ხელოვანები და გამორჩეული პიროვნებები. კერძოდ, მსახიობი **ლეო ანთაძე**, პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**, კომპოზიტორი – **ვაჟა დურგლიშვილი** და სხვები.

დამდეგ ახალ წელს ვულოცავთ 152-ე სკოლას, წარმატებას და კიდევ უფრო გაბრწყინებას ვუსურვებთ!

მზია გოგოძე

თბილისის 145-ე საჯარო სკოლა სიახლეების მხარდამხარ

ეს ფრთებს შენ ის ნიჭი - ყუნარი

სკოლაში შესვლისთანავე შეიმჩნევა იშვიათი წესრიგი და სისუფთავე. იგრძნობა მზრუნველი დიასახლისის ხელი. შესასვლელის კედლები დამშვენებულია დიდი დავით მეფის, გენიალური შოთა რუსთაველის და ვაჟა-ფშაველას პორტრეტებით. ხიბლი და სილამაზე არც დერეფნებსა და საკლასო ოთახებს აკლიათ.

შენობას ბოლო წლების განმავლობაში რამდენჯერმე ჩაუტარდა როგორც გარე, ისე შიდა რემონტი. მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა. ამ მხრივ სკოლაში შექმნილია ყველა პირობა, რათა მოსწავლეებმა კომფორტულ გარემოში მიიღონ ხარისხიანი განათლება.

სასიხარულოა, რომ 145-ე სკოლას უძღვება ახალგაზრდა, მეტად ერუდირებული, განათლებული და კეთილშობილი დირექტორი **მაია ოსიყმიშვილი**. მას უღალატოდ მხარში უდგანან გამოცდილი პედაგოგი, მოადგილე სასწავლო ნაწილში **მარინე კოლუაშვილი**, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **მარინე გვილავა**, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, მე-10 კლასის მოსწავლე, ნიჭიერი ახალგაზრდა **მარიამ აბაშიძე**, ერთგული და გამოცდილი საქმისმწარმოებელი **მერი ჯოღერდაშვილი**.

ვამაყობ ძლიერი პედაგოგიური კოლექტივით, – განაცხადა ჩვენთან საუბარში ქალბატონმა მაიამ. დღევანდელი მდგომარეობით სკოლაში დასაქმებულია 50 მასწავლებელი, რომელთაგან 33 არის პრაქტიკოსი, 16 უფროსი, 1 წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე. **მარინე ლაშხია** სერთიფიცირებული მათემატიკოსია, ხოლო ბიოლოგიის მასწავლებელს **მარინე ბაგილიშვილს** მინიჭებული აქვს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა, რომლებსაც უნარიანად უძღვებიან: ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას – **ლია ბერიძე**, საზოგადოებრივი მეცნიერებისას – **დალი ძმანაშვილი**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებისას – **ნაირა ვარამაშვილი**, მათემატიკისას – **ირინე ცუცქირიძე**, უცხოური ენებისას – **ლეილა ციცქიშვილი**, სპორტისა და ესთეტიკური აღზრდისას – **ქეთევან გელაშვილი**, დაწყებითი კლასებისას – **მაია მექერიშვილი**.

სკოლის კოლექტივის ნაყოფიერ მუშაობაზე მეტყველებს მასწავლებლებისა და მათი აღზრდილების სხვადასხვა სახისა და მასშტაბის ღონისძიებებში მონაწილეობა და მიღწევები. პედაგოგი **ელენე ახალაია** 2013 წლიდან ჩართულია პროგრამაში **„სკოლის მასწავლებელთა ონლაინ სისტემაში ჩართვა და დამეგობრება ევროპის ქვეყნების მასწავლებლებთან“**. მიღებული აქვს მონაწილეობა საინტერესო საერთაშორისო პროექტებში. 2015-2016 სასწავლო წელს იყო პროექტის ფასილიტატორი მათემატიკაში. ეს პროექტი წარმატებით განხორციელდა სკოლაში და ყველა მონაწილე მასწავლებელი შეფასდა კრედიტქულებით.

2014 წელს პედაგოგებმა **მარინე ბაგილაშვილმა** და **მარინე ლაშხიამ** მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობა მიიღეს პროექტ PROFILES-ის მე-2 საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ბერლინში ჩატარდა. ასევე, სხვა მასწავლებლებთან ერთად ეროვნულ კონფერენციაზე წარმატებით წარადგინეს ბიოლოგიისა და ქართული ლიტერატურის, ბიოლოგიისა და მათემატიკის ინტეგრირებული გაკვეთილები მე-9 და მე-10 კლასებში.

მისასალმებელია, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს 145-ე საჯარო სკოლას მუდამ ჰყავს ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეები. 2016 წლის ოქროს მედალოსანმა **ზაზა მანაგაძემ**, რომელიც სანდიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა, მიიღო 100%-იანი დაფინანსება.

მიმდინარე სასწავლო წლის გეოგრაფიის ოლიმპიადაზე პირველ ტურში წარმატებას მიაღწია 15 მოსწავლემ. ისტორიაში 1-მა, სამოქალაქო განათლების ოლიპიადაზე კი – 2-მა მოსწავლემ.

აღსანიშნავია ოქროსმედალოსან **ანანო ფეიქრიშვილის** წარმატებები ლიტერატურულ ღონისძიებებში. მათ შორის კონკურსში **„სიკეთის ხე“** (ნომინაცია საუკეთესო ჩანახატი).

მარიამ შარიფაშვილმა და **ანასტასია გორგასლიძემ** ასახელეს სკოლა სამეჯლისო და ქართული ხალხური ცეკვების კონკურსში.

გაკვეთილზე შეძენილი ცოდნის უკეთ აღქმისა და განმტკიცების მიზნით, 145-ე სკოლის პედაგოგები ატარებენ გასვლით ღონისძიებებს სხვადასხვა ისტორიულ ადგილებში: თბილისის ძველ უბანში, მცხეთაში და სხვაგან.

კონტინგენტი, – განაცხადა ჩვენთან დამშვიდობებისას ქალბატონმა **მაია ოსიყმიშვილმა** 585 მოსწავლიდან გაიზარდა 980-მდე. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა დაწყებით კლასებში. ეს კი იმის დასტურია, რომ 145-ე საჯარო სკოლა უფრო და უფრო მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი ხდება.

მწუხარებით უნდა გავიხსენო ჩვენი საამაყო პედაგოგი, დირექტორის მოადგილე, **თინათინ ოქროცვარიძე**, რომელიც თითქმის 40 წელი მოღვაწეობდა ამ სკოლაში. იგი მიმდინარე წელს ავტოავარიის მსხვერპლი გახდა, მარადიული ხსოვნა იყოს მისი. რედაქცია მზადაა, მის არდავიწყებას ცალკე წერილი მიუძღვნას.

კიდევ ბევრი რამ კარგი დაგვრჩა სათქმელი. ეს კი ახალი წლიდან იყოს.

დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ, 145-ე სკოლელებო. გისურვებთ, ბედნიერებასა და ახალ-ახალ წარმატებას.

ივერი მესხია

ხუთი წლის წინათ ვიყავი ცეროდენების ამ ზღაპრულ სამყაროში. მას შემდეგ იგი ხუთჯერ უფრო დამშვენებულა. მოდით, საახალწლო ზეიმის ფრაგმენტები ვნახოთ და მერე განვაგრძოთ ბაგა-ბაღზე საუბარი. „კოხტად მორთული ნაძვის ხე ციბრუტივითა ტრიალებს“... თვალხატულა გოგო-ბიჭები მღერიან, ცეკვავენ, ლექსებს კითხულობენ. ისმის ქართველ საბავშვო კომპოზიტორთა ტკბილმშობლიური მელოდიები. „შეხე პეპლებს, ფრთათეთრ პეპლებს, ხეებს ირგვლივ ევლებიან, ეს თოვლია, თოვლი მოდის, განა მართლა პეპლებია?“ – ჭექს ბიჭის ომახიანი ხმა. შობა-ახალ წელს ულოცავენ პატარებს ბაგა-ბაღის დირექტორი, აღმზრდელები. ცუგრუმელებმა თავიანთი შემოქმედებით მოხიბლეს სტუმრები და მშობლები. არის მეკვლე, თოვლის ბაბუაც, საჩუქრები. ყველა ჯგუფში ჩატარდა ნაძვის ხის ხალისიანი ზეიმი. „ფიფქები ცვივა და ფიფქები მღერიან. გამოდი, გამოდი, ახალი წელია“ – ზეიმს ლაიტმოტივად გასდევდა ეს სიმღერა.

საახალწლო ბრწყინვალება 107-ე ბაგა-ბაღისა

„ფიფქები ცვივა და ფიფქები მღერიან“

ამ საახალწლო განწყობილების ფონზე განვაგრძოთ საუბარი: სხვა ბაგა-ბაღები ინატრებენ ამხელა ნაძვებით დაბურულ ეზოს, რომელიც გაჯერებულია სპორტული ატრიბუტიკით: აი, კარუსელი, საქანელა, სასრიალო, „აჩუ ცხენო!“ და კიდევ რა გინდა, სულო და გულო! შიგნით შეხვალთ და, ნამდვილი ზღაპრული სამყაროა. ყველგან თოჯინები იცინიან. ესთეტიკური და მშობლიური გარემო, სისუფთავე, პატარებზე დედობრივი ზრუნვა მადლიერების გრძნობით მსჭვალავს მშობლებს, მოსახლეობას. ისინი მადლობას უხდიან ქალაქის მერიას ასეთი პირობების შექმნისთვის. კონკრეტულად ეს მადლობა მიმართულია ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროს **თემურ თორდინავასა** და რაიონის გამგებლის მიმართ.

მართლაც, მათი დახმარებითა და დირექტორის ძალისხმევით მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა: დერეფნებში დაიგო მეტლახი. კეთილმოეწყო სათავსოები, მომხიბლავი გახდა ფასადი, ეზო. ჩატარდა რემონტი და, რაც მთავარია, გაიხსნა ახალი ჯგუფი.

დროა დირექტორი გაგაცნოთ: იგი გახლავთ ცეროდენებზე უზომოდ შეყვარებული, მათზე დედასავით მზრუნველი, გამოცდილი, ერუდირებული, შემოქმედი პედაგოგი **ნათია ლომაძე-ხალვაში**. ნამდვილად გაუმართლა ბაგა-ბაღს, რომ ასეთი ხელმძღვანელი მოვიდა. მაშინვე დაამყარა ნათიამ მეგობრული ურთიერთობა თანამშრომლებთან. მას განათლების სისტემაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს – ოცი წლის სტაჟი. მისი პედაგოგიური ნათლობა შედგა 205-ე ე. წ. „მრგვალ ბაღში“ სახელოვანი პედაგოგის **ლუდმილა მალანიას** დირექტორობის დროს. აღმზრდელად დაიწყო მუშაობა, პარალელურად მიუსაფართა ჯგუფშიც მოღვაწეობდა. ნათიას ბიოგრაფიას ამშვენებს ინგლისური ენის მასწავლებლად მუშაობა თბილისის 189-ე და 173-ე საჯარო სკოლებში.

მე მხიბლავს დირექტორის უნიკალური თვისებები: იგი მისდევს დიდი ბრძენკაცის შეგონებას, რომ **„კადრები წყვეტენ ყველაფერს“** და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი პროფესიონალი შემოიკრიბოს. „წარსულისადმი ნდობა-პატივი“ ნათიას ცხოვრების წესია. წინამორბედთა ამაგ-ღირსებას არ ივიწყებს და სათანადოდ აფასებს. ყოფილი დირექტორი **ლუდმილა მალანია** მოადგილედ მოიყვანა და მის მდიდარ გამოცდილებას თავის საქმიანობაში იყენებს. უფრო მეტსაც გეტყვით; მთხოვა, თანამშრომელთა დახელოვნების, ე. ი. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მომეძებნა პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები.

ახლა ორიოდე სიტყვა ვთქვათ **ლუდმილა მალანიაზე**: სახელოვანი, ღვაწლმოსილი პედაგოგის ბიოგრაფიას ამ სისტემაში მუშაობის თითქმის 40 წლის სტაჟი ალამაზებს. დიდია მისი დამსახურება 205-ე ბაგა-ბაღის გაძლიერებაში, იქ 12 წელი დირექტორად მუშაობისას. ასევე იყო ამ ბაღთან არსებული მოუსაფარ ბავშვთა სკოლის დირექტორი, შემდეგ – ბავშვთა პროგრამების ხელმძღვანელი და კომპლექსის დირექტორი. 140-ე ბაგა-ბარის დირექტორი, ქალაქის სკოლამდელი აღზრდის მეთოდისტი, დედაქალაქის საკრებულოს კონსულტანტი განათლების დარგში.



ჰოდა, ასეთი დამსახურებული, სანთლით საძებარი მუშაკი ნაციონალების ზეობისას სრულიად უსირცხვილოდ, რაღაც გამოგონილი ბრალდებით 205-ე ბაგა-ბაღის დირექტორობიდან დაითხოვეს. მახსოვს: იმ დროს ამ ბაგა-ბაღზე სტატია გამოვაქვეყნე. ახალმოსული დირექტორი **ია პატეიშვილი** არაკოლეგიალურად მოიქცა. მის წინამორბედს ფინანსურ-ადმინისტრაციულ დარღვევებში ბრალი დასდო და ლუდმილას მიერ ხორცშესხმული ბევრი საქმე, უამრავი სიკეთე თვითონ მიინერა, – ეს მე გავაკეთეო. არადა, **ლუდმილა მალანია**, იმ გამოჩენილი, სახელგანთქმული პლეადის წარმომადგენელია, როგორიც არიან: **ნელი კეპულაძე**, **ზაირა კურტანიძე**, **მერი ჭარელიშვილი**, **ლალი ნოზაძე**, **ნანი ჯანელიძე**, **იზა კვანტიძე**, **სოფიო ოქრომელიძე**, **თამარ გობეჩია**, **მია მეტრეველი**, **მარინე გოგოლაძე** და სხვები.

ბოლო დროს სამართალმა პური ჭამა და ბევრი ამათგანი აღდგენილია თანამდებობაზე.

ზემოთ ვთქვით, დირექტორი უფრთხილდება ნაამაგარი თანამშრომლის ღირსებას და მათ პატივისცემით მოიხსენიებს. სხვა თანამშრომლებზე ქვემოთ მოგახსენებთ. მაგრამ ჯერ ამ ღირსეულთ მინდა ვუთხრა მადლობა. ისინი კი გახლავთ: მზარეულის დამხმარე **მანია მაისურაძე**, რომელიც ბაღის დაარსებიდან ბაღის დღიდან აქ თავდადებით შრომობს.

ბაგა-ბაღის სული და გულია გამოცდილი მეთოდისტი **უმზერი მიმინოშვილი**, რომლის აქტიური დახმარებით აღმზრდელები წარმატებით ახორციელებენ **„სასკოლო მზაობის“** პროგრამას.

საინტერესო ციფრებია: გასულ სასწავლო წელს 107-ე ბაგა-ბაღიდან 107 სასკოლოდ კარგად მომზადებული ცეროდენა მიუსკუპდა პირველი კლასის მერხებს. ბაგა-ბაღის აღმზრდელები ნორჩების კარგად დაკვალიანებისათვის მადლობის ბარათებს ღებულობენ დაწყებითი კლასების პედაგოგებისაგან.

შექებას იმსახურებს პროფესიონალი ეკონომისტის, მნე **ნაილი ზანგურის** მუხლჩაუხრელი შრომა. ნორჩების ნებისყოფის, ცხოვრებაში საჭირო უნარ-ჩვევების აღზრდის მიზნით ბევრს შრომობს გამოცდილი ფსიქოლოგი **დალი კლიმიაშვილი**, ამისთვის მადლობა მას! საქმისმწარმოებლების **ლანა რიჟამაძისა** და **ინგა ჭიჭინაძის** გატაცებული შრომის გარეშე ბაგა-ბაღის წარმატება წარმოუდგენელია. ორივე დირექტორის მარჯვენა ხელია და ქებას იმსახურებს. ბევრს აკეთებენ ლოგოპედები **შორენა მაზმიშვილი** და **თამთა ყავლაშვილი** ნორჩების სამეტყველო კულტურის დასახვეწად.

დირექტორმა მაღალი შეფასება მისცა სპეცპედაგოგის **დარეჯან სილაგაძის** ნაყოფიერ მუშაობას.

მთელი ბაგა-ბაღის სიცოცხლე და სიხარული ხომ მუსიკის პედაგოგების **რუსუდან ცაავასა** და **ქეთევან ფურცელაძის** გატაცებული მოღვაწეობაა. ისინი აფაქიზებენ მოზარდის სულს, თვალხატულა გოგო-ბიჭებს მუსიკალური ხელოვნების სიყვარულით ზრდიან.

ჩემო ცუგრუმელებო, ისეთი კარგი ექიმი გყავთ, ისეთი, რომ ვერცერთი ინფექცია ახლოს ვერ მოგეკარებათ. დეიდა **მაია აფციაური** მუდამ ფხიზლად დგას ნორჩების კვების საქმეს დიდებულად ემსახურება.

ასევე, ყველა პატივს სცემს ერთგულ დარაჯს, აფხაზეთიდან დევნილ **ომარ მებონიას**, რომელიც ჩემი თანამემამულეც გახლავთ. ისიც ბაგა-ბაღის დაარსებიდან

გაგრძელება მე-5 გვ.

ახალი წლისთვის საგანგებოდ მოემზადნენ თბილისის 29-ე საბავშვო ბაგა-ბაღში, სადაც აღსაზრდელებისთვის საახალწლო კონცერტი გაიმართა, თუმცა, მანამდე ბაღის დარბაზი და ოთახები მოირთო ლამაზი ნაძვის ხეებით, გრილიანდებითა და ბრჭყვიალა სათამაშოებით. ბაგა-ბაღების სააგენტომ კი, ცუგრუმელები საახალწლო ნუგბარითა და ტკბილეულით დაასაჩუქრა.

ჩვენი გაზეთის მკითხველი კარგად იცნობს 29-ე ბაგა-ბაღს და მის დირექტორს **ლალი ნოზაძეს**.

იგი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს არამარტო თავის თანამშრომლებში, არამედ მთელ სკოლამდელი აღზრდის სისტემაში. მას იცნობენ და აფასებენ. უკვე 40 წელიწადია ბაღში მოღვაწეობს და ვინ მოთვლის რამდენი თაობის აღმზრდელია. არის 4 შვილის დედა და 13 შვილიშვილის ბებია, ამიტომაც კარგად ესმის ბავშვის ფსიქოლოგია და დიდი რუდუნებით და სიყვარულით ემსახურება პედაგოგის ამ საპატიო პროფესიას. საამაყოა ის ფაქტი, რომ ქალბატონი ლალი გახლავთ ცნობილი მოჭიდავის, მსოფლიო ჩემპიონის **რამაზ ნოზაძის** დედა.

უკვე, 35 წელიწადია ბაღის დირექტორია და ჩინებულად უძღვება მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ამ ხნის მანძილზე, გასახსენებელიც ბევრი აქვს და მოსაყოლიც. იყო ბედნიერი წუთებიც და მძიმე დღეებიც.

29-ე ბაგა-ბაღი ყოველთვის გამოირჩეოდა და ახლაც გამოირჩევა დისციპლინით, წესრიგით და მომავალ თაობაზე განსაკუთრებული ზრუნვით. ბაღში შესვლისთანავე იგრძნობა მზრუნველი დიასახლისის ხელი. ეზო მოპირკეთებული და დამშვენებულია ლამაზი ყვავილებით თუ სხვადასხვა სათამაშოებით. საბავშვო ოთახები და დერეფნები ისეა მორთულ-მოკაზმული სხვადასხვა თვალსაჩინოებებით, თავი ზღაპრულ სამყაროში გეგონებათ. ინფრასტრუქტურა აბსოლუტურად მოწესრიგებულია, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, ერთი სიტყვით, ბაღში ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ პატარებმა თავი ბედნიერად და კომფორტულად იგრძნონ.

ШОБА-АХАЛ ВЕЛС ВИЛОЦАВТ, 29-Е БАГА-БАВЕЛЕБО!

ЦЕРОДЕНЕБО, ДЕДОБРИВИ МЗРУНВЕЛОБА АР МОБАКЛДЕБАТ

ლალი ნოზაძე: ეს ის ბაღი აღარ არის, წლების წინ რომ ჩავიბარე. აქ ყველაფერი შეიცვალა და გალამაზდა. ჩემი მუშაობის მანძილზე არაერთ სიძნელეს წავაწყდი, იყო გაჭირვების პერიოდი, მწირი დაფინანსება, რაც საკვებზეც არ გვყოფნიდა. ბაღი თბებოდა შეშის ღუმელით. ჩვენ გამოსავალს მაინც ვპოულობდით, ვაგროვებდით თანხას (შემოწირულობის სახით) და ერთიანი ძალისხმევით, მაინც ვახერხებდით პატარების კარგად გამოკვებას. დღეს კი, სულ სხვა ვითარებაა. გვერდში გვიდგას საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი **თემურ თორდინავა**, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით. ბაღში ყველაფერი მოწესრიგებულია, გვყავს 10 ჯგუფი. მსურველები კი, გაცილებით ბევრია, რადგან ერთ-ერთი პრესტიჟული ბაღია და ბევრ მშობელს უნდა ჩვენთან შვილების მოყვანა. ბაღი გადატვირთულია. ბავშვთა რაოდენობის მატება ალბათ, იმანაც გამოიწვია, რომ ქვეყანაში მოიმატა შობადობამ და ასევე, იმითაც არის განპირობებული, რომ ბაღი უფასოა, კვებაც ძალიან კარგია.

ჯანსაღი პროდუქტებით შპს **„ელფი“**გვამარაგებს. დიდი ყურადღება გვაქვს **თემურ თორდინავასგან**, სწორედ მისი დახმარებით მოვაწესრიგეთ ეზო და დავამონტაჟეთ 25 სხვადასხვა სახის სათამაშო, რაც პატარებს ძალიან ახარებს და მშობლებიც მადლობას გვიხდიან.

ბავშვები ძალიან მიყვარს და ვთვლი, რომ ისინი ჩემთვის შვილებივით ძვირფასები არიან. ამ ბაღის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია. ჩემს თანამშრომლებს ხშირად ვახსენებ მარკესის სიტყვებს: **„ადამიანს უნდა მოეფერო, სანამ ცოცხალია და სანამ გვერდში გიდგას, თორემ როცა მოკვდება, მერე სინანული ძალიან გვიანი იქნება“**. შესანიშნავი ოჯახი მაქვს, ჩემი მეუღლე **ჯემალ ნოზაძე**, წარსულში გამოჩენილი მოჭიდავე იყო და არის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ჩვენ ერთმანეთის გვერდში დგომით მოვედით დღემდე, გვყავს კარგად აღზრდილი შვილები სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი, 13 შვილიშვილის ბებია ვარ. ვუსურვებ ქართველ ერს გამრავლებას, სიხარულს და ბედნიერ ახალ წელს.

ბაღი ჩართულია **„სასკოლო მზაობის“** პროგრამაში და ყველანაირი პირობაა შექმნილი, რათა სათანადო აღზრდა-განათლება მიიღონ.

ცეროდენებს ყურადღებას არ აკლებენ და მათზე დედასავით

გაგრძელება მე-6 გვ.

მე-4 გვერდიდან

თქვენი ჯანმრთელობის სადარაჯოზე. ის კერძებიც კი, ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა, რომელსაც თქვენ სიამოვნებით მიირთმევთ, მაია ექიმის მიერ არის შემოწმებული.

„სიამოვნებით მიირთმევთო“, – შემთხვევით არ წამომცდენია. დერეფანში მშობლებს გავესაუბრე, ბავშვთა კვებით კმაყოფილი ხართ თუ არა-მეთქი. ერთ-ერთმა ცერა თითი ასწია: „კერძებია იმისთანა, რომ ჩაატანთ თითებს თანაო“. დიახ, ასეა! გემოვნებიანი მზარეულის **ლალი ბუხუნიშვილისა** და მისი დამხმარეების: **მანია მაისურაძისა** და **ლალი ჩარკვიანის** მიერ მომზადებული არომატული, მაღალკალორიული საჭმელები ცეროდენებს შინ დედის გაკეთებულ კერძებს ურჩევნიათ.

არ იფიქროთ, თქვენ დამავიწყდით, ძვირფასო აღმზრდელებო და თანაშემწეებო. ამას ნათია მაპატიებდა? თქვენ ხართ ბაგა-ბაღის დიდება. თქვენს მხრებზე გადადის ყველაზე მძიმე შრომა. თქვენი ღვაწლია, აქ ამდენი ნიჭიერი, ჭკვიანი, თვალხატულა გოგო-ბიჭი რომ ფრთიანდება. დაგელოცოთ მარჯვენა!

საქებარი სიტყვებითა და მადლობის გრძნობით შეაფასა აღმზრდელების: **მთვარისა ასლანიშვილის**, **ლია ვარდიაშვილის**, **ნინო მჭედლიძის**, **ხათუნა ბასიაშვილის**, **მაყვალა პაპაშვილის**, **ირინე ბერუაშვილის**, **მარიამ არველაძის**, **ინგა კაციტაძის**, **თეა დვალიშვილის**, **მარი ქოქიაშვილის**, **სოფო ხუსკივაძის**, **სვეტა კისიევას**, **ხათუნა ახობაძის**, **სალომე ბარბაქაძის**, **ნანი ჩიქობავას**, **ეკა ჭეხაშვილის**, **შორენა ნოსელიძის**, **მარიკა სალუქვაძის**, თანაშემწეების: **ბელა გერმანაშვილის**, **ირმა ბებიას**, **მედეა დოლიძის**, **ლუიზა შახბაზიანის**, **ნინო ბეჟანიშვილის**, **მაკა დარსალიას**, **ლელა გოქაძის**, **ნარგიზ ოსეფაიშვილის**, **მადონა ხელაძის**, **სოფო ბარბაქაძის**, **მზევინარ პანაიოდის**, **ირმა თაბაგარის** შრომა.

ბაგა-ბაღის კეთილდღეობასა და ჰიგიენურ უზრუნველყოფაში დიდია მრეცხავების: **ლალი ბუხრაშვილის**, **ლია გერლიანის**, **ნაზი კოკლიანის**, **გვანცა ლოცულაშვილის**, **მაია მორგოშიას**, **მარი სიუკაევას** დამლაგებლების: **ნანული პანკელაშვილის**, **ლენა კახობერაშვილის**, **მარო მეგრელიშვილის**, **ნინო ერაძის**, **შორენა ჯიბლაძის**, მებაღე – **კუკური ფხაკაძისა** და დარაჯ – **ომარ მებონიას** დამსახურება.

ახალი წლის ღამეს ცინცხლებს დაყრიან მაშხლები.

მშვიდობის, სიუხვის, ზღვა სიხარულის, აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაბრუნების წელი ყოფილიყოს შობა-ახალი წელი!”

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

მე-5 გვერდიდან

ზრუნავენ ჩინებული აღმზრდელები. ესენია: **ნინო ხუჭუა, ნანა მინაშვილი, სოფიო თვალიაშვილი, ნინო ბუჯიაშვილი, ქრისტინე მანუკიანი, ეკატერინე**

წურწუმია, მარინე ბაისონაშვილი, მარინა ლაზარიაშვილი, ლეილა შანშიაშვილი, ევგენია კირაკოსიანი, სუსანა მინასიანი, მაკა მემარნიშვილი, ნათია ფურცელაძე, თამარ მოხევიშვილი, ლალი ჭანტურიძე, ლია ზაალიშვილი, მანანა მარტყოფლიშვილი და **ინა ფურცელაძე**. მათ გვერდში უდგანან აღმზრდელის თანაშემწეები**: ნინო ვარდუაშვილი, ნატალია ხარებაშვილი, ვიოლეტა სარქისიანი, ნანი სამხარეული, თინათინ კირაკოზაშვილი, ირინე კურაზიანი, ტატიანა სომხიშვილი, ლეილა მინდიაშვილი, ქეთევან ამირეჯიბი** და **მარიკა გუმბერიძე**.

29-ე ბაგა-ბაღი დაკომპლექტებულია პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური კადრებით.

დირექტორი მაღალ შეფასებას აძლევს მისი მოადგილის – **გულნაზ შიუკაშვილის** საქმიანობას. იგი, თავისი საქმის მცოდნე და სკოლამდელი აღზრდის სფეროში ღრმად ჩახედული პიროვნებაა. ასევე, შექებას იმსახურებს მეთოდისტი **ნანა ღონიაშვილი**, იგი 23 წელია ბაღში მუშაობს და შესანიშნავი სპეციალისტია. პატარების ჯანმრთელობაზე ზრუნავს ექთანი – **ზოია ჭანკვეტაძე**, მას არცერთი ბავშვის ავადმყოფობა არ გამოეპარება. ბაღს ემსახურებიან ძალიან კარგი სპეციალისტები: ლოგოპედი **მაია შიხიაშვილი**, ფსიქოლოგი **ნატალია ხარებავა.**

მადლობას იმსახურებს ტექნიკური პერსონალი: **ანა მკურნალიძე, ნანული ალხაზიშვილი, ნათია ხარებაშვილი, სუზანა პეტროსიანი, ირმა ასიტოვა, კარინა მათევოსიანი, მარიამ ციხელაშვილი, მზია იმედაშვილი, ნანული ალანია, გოჩა წიკლაური, მაია სარქისიანი, ერიკნაზ სარქისიანი** და **ნათელა ცინარიძე**.

დირექცია კმაყოფილებას გამოთქვამს საქმეთამწარმოებლის – **მარიკა ჩხაიძის** და სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის – **ნინო ჭანკვეტაძის** მისამართით, ისინი დიდი შემართებით აკეთებენ თავიანთ საქმეს.

დიდ მადლობას იმსახურებენ მზარეულები: **ნანი ლეონიძე, თათუშა ცაავა, ეთერ კიწმარიშვილი** და **იზა ნემსაძე**, რომლებიც ძალინ გემრიელ კერძებს ამზადებენ და

დაუღალავად შრომობენ.

ცეროდენების ცხოვრებას ალამაზებენ მუსიკის მასწავლებლები: **მაია მირიანაშვილი** და **მარიამ ბასოშვილი**, რომლებიც შემოქ-

მედებითად უდგებიან თავიანთ საქმეს და არიან ყველანაირი ღონისძიების სულისჩამდგმელები.

ბაღში, ტრადიციულად იმართება სხვადასხვა ზეიმები და ღია გაკვეთილები. პატარების კარგი აღზრდისათვის, ბაღი სხვადასხვა სკოლებიდან ხშირად იღებს სამადლობელ წერილებს. ამიტომაც არის, რომ ბაღი პოპულარობით სარგებლობს და დღითიდღე მატულობს აქ მოხვედრის მსურველთა რიცხვი.

დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ, 29-ე ბაღელებო და ახალ-ახალ წარმატებებს გისურვებთ.

მზია გურიელი

საახალწლო საჩუქარი – ერთი ლამაზი დღე

სახელოვანი სიბერე ჩჩუქრთა ხვედრია

„ათასს ცოცხალსა ბევრჯერა...“ „სიძველისადმი ნდობა პატივი“... არ გახსენდებათ ვაჟასა და გრიშაშვილის სიტყვები? „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ“, – ხალხური. ე. ი. ასაკოვანთ პატივი ვცეთ, მოვეფეროთ, დავუფასოთ ამაგი.

„ჩვენც დავბერდებით“ – ასე ეწოდებოდა საქველმოქმედო საღამო-კონცერტს, რომელიც თბილისის 152-ე საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში გაიმართა და რომლის ინიციატორები იყვნენ დირექტორი **თამარ გურაშვილი** და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის სამგორის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე **გულიკო ამილიძე**. კონცერტში მონაწილეობდნენ როგორც პედაგოგები, ასევე, სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც შეასრულეს ქართული ცეკვები და სიმღერები. საღამოს ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები და მაჟორიტარი დეპუტატები **შოთა ხაბარელი** და **გიორგი მოსიძე**, ასევე, სამგორის რაიონის გამგებლის მოადგილე **კახა ბოლქვაძე**, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი **ლია ჯახველაძე**, საარჩევნო რაიონული შტაბის ხელმძღვანელი **გიორგი კერესელიძე**, ისნის რაიონის გამგებელი **ვახტანგ ქიზიყურაშვილი** და სხვები

ღონისძიების მთავარი მიზანი იყო რაიონში მცხოვრები მიუსაფარი მოხუცებისთვის საახალწლო საჩუქრების გადაცემა. ხანდაზმულებს, სურსათით, ტკბილეულით და ტანსაცმელებით დაეხმარნენ სამგორის რაიონის სკოლებისა და ბაგა-ბაღების პედაგოგები.

გულიკო ამილიძე: საქველმოქმედო ღონისძიებაში, სამგორის ყველა სასწავლო აღმზრდელობითი დაწესებულება იყო ჩართული და როგორც შეეძლოთ, ისე გამოხატეს თანადგომა. ჩვენ შევაგროვეთ შემოწირულობები და ლამაზად შევფუთეთ. გამგეობამ კი გამოყო თანხა და მიუსაფარ მოხუცებს შევუძინეთ საჩუქრები. რამდენიმე ბაგა-ბაღმა და ბავშვებმა, ინდივიდუალური შემოწირულობები მოიტანეს. ღონისძიებას ესწრება 20 ხანდაზმული, რომელთაც აქვე გადავცემთ საჩუქრებს, ხოლო ვინც ლოგინად არის ჩავარდნილი, იმათ სახლში მივუტანეთ. ჩვენი დიდი სურვილი იყო, რომ შობა-ახალი წლისთვის მოხუცებისთვის, ერთი ლამაზი დღე გვეჩუქებინა და მგონი გამოგვივიდა. დღევანდელი გაჭირვებული ყოფიდან გამომდინარე, სიბერე ბედნიერებაა, უფალი გვაძლევს სიცოცხლეს, მაგრამ ბერდება უფლის რჩეული. ადამიანის ყველა ასაკს, თავისი ხიბლი და სილამაზე აქვს. ჩვენი ვალია ხანდაზმულებს შევუმსუბუქოთ ყოფა და გავულამაზოთ სიბერე.

აღსანიშნავია, რომ საქველმოქმედო ღონისძიება **„ჩვენც დავბერდებით“** ქალბატონი გულიკოს ინიციატივით, მესამე წელიწადია ტარდება და უკვე ტრადიციად იქცა. რამდენიმე თვის წინათ კი, რაიონის გამგეობის ინიციატივით, ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებისთვის საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა და შეგროვებული 6 ათასი ლარი მათ საავადმყოფოში გადაეცათ.

ხანდაზმულებისთვის გამართულ კონცერტში მონაწილეობდნენ როგორც ინდივიდუალური შემსრულებელი მასწავლებლები, ასევე, 152-ე სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები, აგრეთვე, 145-ე სკოლის, მე-16, 86-ე, 28-ე ბაგა-ბაღების წარმომადგენლები. ილიას სახელობის უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდმა ყველა მოხიბლა. ასევე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (დირექტორი **ლამზირა მელქაძე**) მხატვრული ტანვარჯიშის აღსაზრდელებმა და ღონისძიების სხვა მონაწილეებმა მიუსაფარ მოხუცებს ბევრი სიხარული მიანიჭეს.



ანანო სამელია

ღმერთმა დაგლოცოთ, 166-ე ბაგა-ბაღელებო!

ახალი წელია – ფიფქები გვესალმება ციდან

საახალწლო განწყობა სუფევს თბილისის 166-ე საბავშვო ბაგა-ბაღში. ცუგრუმელები, კოხტად მორთულ ნაძვის ხეს შემოხვევიან და ახალი წლის მობრძანებას ზეიმობენ. მღერიან, ცეკვავენ, ლექსებს ყვებიან და თოვლის ბაბუასგან ტკბილეულსა და საჩუქრებს იღებენ. პა-

ტარები, ძალიან ბედნიერები და გახარებულები არიან, რადგან ბაღის დირექციამ მათ ნამდვილი ზეიმი მოუწყო.

-ბავშვებისთვის საჩუქრები და ტკბილეული ტენდერში გამარჯვებული ფირმიდან შევიძინეთ – გვითხრა დირექტორმა **ქეთევან შენგელიამ** – თოვლის ბაბუას ფუნქცია კი, ჩვენმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა შეითავსა, რაც მთავარია პატარები ძალიან გახალისდნენ.

166-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს, მხიარული დღეები და შემოქმედებითი ღონისძიებები ნამდვილად არ აკლიათ. შთამბეჭდავი იყო შემოდგომის ზეიმიც, სადაც პატარებთან ერთად უფროსებიც იყვნენ ჩართული. ასევე, ხშირად იმართება თემატური ღონისძიებები, ღია გაკვეთილები და გამოფენები, სადაც წარმოდგენილია ბავშვების ნახატები, აპლიკაციები და გამოძერწილი ზღაპრების გმირები.

ბაგა-ბაღს, უკვე ცხრა წელიწადია ხელმძღვანელობს უაღრესად კეთილშობილი ქალბატონი და თავისი საქმის პროფესიონალი **ქეთევან შენგელია**, რომლის მოსვლის დღიდან წესრიგიც დამყარდა და ბაღიც აღორძინდა. ბაგა-ბაღების სააგენტოს და **თემურ თორდინავას** ხელშეწყობით, ბევრი რამ გაკეთდა, მოწესრიგდა ეზო, მოასფალტდა და შემოიღობა, დაირგო სხვადასხვა მწვანე ნარგავები. ავარიულ შენობას კი, გამაგრებითი სამუშაოები და რემონტი ჩაუტარდა, გამოიცვალა სახურავი, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა, ბაღი აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით, ავეჯით, სათამაშოებით და სახელმძღვანელოებით.

ბაგა-ბაღში სათათბიროს თავმჯდომარეა კომპეტენტური პედაგოგი **თამარ ბაკურაძე**. მასთან და მშობლებთან ერთად განიხილება ყველა საკითხი სათათბიროს კრებაზე.

საგულისხმოა, რომ 166-ე ბაგა-ბაღის შენობის გარემონტებაში დიდი წვლილი შეიტანეს ამერიკელმა სამხედროებმაც, რომლებმაც მოაწესრიგეს სველი წერტილები და ელექტროგაყვანილობა.

ბაღში, დიდი ყურადღება ექცევა სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობას. მეთოდისტის ხელმძღვანელობით, პატარებს, განსაკუთრებული მეცადინეობა უტარდებათ ძალადობის პრევენციის საკითხებზე; ასევე, გარემოს დაცვით ღონისძიებებზე, სადაც ბავშვები ჩართულები არიან ეზოს გამწვანებაში. ცუგრუმელები, აღმზრდელებთან ერთად რგავენ ყვავილებს და სხვა მწვანე ნარგავებს. შარშან, სულ 80 ხე დაირგო და ეს პროცესი კვლავ გაგრძელდება. დირექტორი ბაღის თანამშრომლებს მადლობას უხდის თავდაუზოგავი შრომისთვის. განსაკუთრებით მადლიერებას გამოხატავს მოადგილის **ნინო ოდიკაძის** მიმართ, რომელიც დიდი რუდუნებით ასრულებს თავის დაკისრებულ მოვალეობას. ასევე, დიდ შექებას იმსახურებენ მეთოდისტი **ინგა ჩაფიძე** და ფსიქოლოგი **ლალი ბერიანიძე**. ქალბატონმა ლალიმ, სერთიფიცირების შედეგად მაღალი ქულები დაიმსახურა და არის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. მას ბაღში, სპეც პედაგოგის ფუნქციაც აქვს შეთავსებული და ინდივიდუალურად მუშაობს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პატარებთან, რომლის შედეგებით მშობლები კმაყოფილნი არიან.

ბავშვების ჰიგიენასა და ჯანმრთელობაზე ზრუნავს ექთანი **თამარ კაჭარავა**. ცეროდენების კვება უმაღლეს დონეზეა, სადაც დაცულია ცილებისა და ცხიმების თანაფარდობა. ამ საკითხს შესანიშნავად ხელმძღვანელობს მნე **ეკატერინე მებონია**. ბაღს, ხარისხიანი საკვები პროდუქტებით ამარაგებს შპს **„ელფი“**, რომლის კურატორია **სიმონ ჯორბენაძე**. ცეროდენებს ძალიან მოსწონთ მზარეულის **მანანა ალელიშვილის** მიერ მომზადებული კერძები.

აღსაზრდელებს ცხოვრებას ულამაზებენ მუსიკის პედაგოგები: **სოფიო შენგელია** და **ლია ბურდული**. შექებას იმსახურებს ბაღის ტექნიკური პერსონალიც: **სოფო ჩუგოშვილი, იზო შერმადინი, დალი ლომიძე, ლარისა კრპიკიანი, ნინო ლომიძე, ლალი მანჯგალაძე, ნაზი თოდაძე, ნონა გაწერელია** და **მანანა სამადაშვილი**.

ბაღში სულ 493 აღსაზრდელია და მათ დედობრივ მზრუნველობას არ აკლებენ აღმზრდელები: **თამარ ბაკურაძე, კარინე ხალატიანი, ეკატერინე ტყემალაძე, ნათია ტაბატაძე, ნინა ონაშვილი, მაია შოვნაძე, ბელა ავანესიანი, ლალი ვასაძე, ჟუჟუნა ერგემლიძე, ნაირა თურმანიძე, მარინე კირვალიძე, მარიამ ოთარაშვილი, თამარ იმერლიშვილი, ეთერ დავითაშვილი, თეა დათუაშვილი** და **თეა ჭუმბურიძე**. მათ გვერდში უდგანან აღმზრდელის თანაშემწეები: **ხათუნა მღვდელაძე, ლია აბესაძე, ქეთევან სტურუა, ნათია ამირანაშვილი, ლია ხვთისავრიშვილი, ნანა შარაძე, თეა ხაჩიძე, თამარ ბედინაშვილი, თამარ მენთეშაშვილი, სუსანა ვარდანიანი, ნანა გაფრინდაშვილი** და **მარინა ბუზარიაშვილი.**

166-ე ბაგა-ბაღში, წარმატებით ფუნქციონირებს **„სასკოლო მზაობის“** პროგრამა და ხშირად, სხვადასხვა სკოლებიდან მადლობის ბარათებს იღებენ. დირექტორის თქმით, ბაღში აღზრდილ პატარებზე, 178-ე სკოლიდან დიდი მოთხოვნაა. სასიხარულო ფაქტია ის, რომ დამოუკიდებელმა საერო გიმნაზია **„შავნაბადამ“**, წარმატებული მოსწავლეების აღზრდისათვის, ბაღს მადლობის სიგელი გადასცა.

შობა-ახალ წელს გილოცავთ, 166-ე ბაგა-ბაღელებო და ახალ წარმატებებს გისურვებთ!

მზია გოგოძე

ივერი მესხია – 60

„გულითა გაუტეხელი მოუღალავი მკლავითა“

თბილი სიტყვა გვინდა ვთქვათ იუბილარ კოლეგაზე, რომელიც 60 წლისა გახდა. **ივერი (ინვერი) მესხია** აფხაზეთიდან დევნილი პედაგოგია. იხუმრა: „**ნ**“ ასო-ბგერა ზედმეტია, „ივერი“ დამიძახეთო. ამჟამად ჩვენთან ჟურნალისტურ წრთობას გადის და წარმატებულადაც. მანამდე? პედაგოგიური დინასტიის ღირსეული წარმომადგენელია. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალი კინდღის საშუალო სკოლისა და სოხუმის მაშინდელი პედინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის აღზრდილი დიდხანს მოღვაწეობდა მასწავლებლად აფხაზეთის სკოლებში, ბოლოს იყო ტყვარჩელის საშუალო სკოლის დირექტორი. მამა **მიხეილ მესხია** კინდღის საშუალო სკოლის პირველი დირექტორი გახლდათ. ძმა **ნაპოლეონ მესხია**, დამსახურებული პედაგოგი, რომელიც გარდაიცვალა. დიდხანს მასწავლებლობდა სოფელ არადუში, შემდეგ ხელმძღვანელობდა ამავე სოფლის სკოლას, დევნილობაში კი ქუთაისის მე-6 სკოლას სასახელო დირექტორი უძღვებოდა.

მუდამ ხალისიანი, ოპტიმისტი, გულით გაუტეხელი, მკლავით მოუღალავი **ივერი მესხია** სასოწარკვეთილებაში ჩაგდო ძმის სიკვდილმა და აფხაზეთში ვერდაბრუნების სევდამ. მაგრამ აგერ არა ვართ მისი მეგობრები: „გულს ნუ გაიტეხ, მგოსანო!“ – ხშირად ვამხნევებთ.

ივერი მესხია კარგად არის ცნობილი მასმედიასა და პოლიგრაფიულ სივრცეში. დიდი ხანია, ნაყოფიერად მუშაობს გამომცემლობა **„ხომლის“** აღმასრულებელ დირექტორად. ბოლო დროს წარმატებით მოსინჯა კალამი მასწავლებელთა გაზეთში. ღიმილით გვეკითხება: გამოდნება ჩემგან ჟურნალისტიო? – გამომდნარი ხარ და ეს არის, – ვპასუხობთ ჩვენც.

მართლაც, მისი რამდენიმე მშვენიერი ქართულით დაწერილი სტატია უკვე დააჭაშნიკა მკითხველმა.

შენი კოლეგები და მეგობრები: **ზურაბ ქობალია, რომან მოსეშვილი, ნათია გურგენიძე, ეკა მამუკაშვილი, მზია გოგოძე, ბორის მიშველაძე, ტიტე ხუხუა, ხიმურ რუხაია, ვალტერ სიჭინავა** და სხვები გილოცავთ ბატონო ივერი დაბადების 60 წლისთავს, მხნეობას და ყველაზე სანუკვარი ოცნების ასრულებას ვუსურვებთ: **ეს ნატვრა კი აფხაზეთში მშობლიურ კერაზე დაბრუნებაა!**

გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია

ახალგაზრდობა – იმედი ხვალის

ქართული სპორტსმენის ტრიუმფი

ათლეტიზმის, ძალოსნური სპორტის ერთ-ერთი სახეობა არის **„პაუერლიფტინგი“**, რომლის არსი, სხვადასხვა მოძრაობით სიმძიმეების აწევაში მდგომარეობს. ეს მოძრაობებია: ჩაჯდომა, წოლჭიმი და ამოწევა, რის გამოც ძალისმიერ სამჭიდს უწოდებენ. მასში, სიმძიმედ შტანგა გამოიყენება და მიუხედავად იმისა, რომ ძალისმიერ სამჭიდსა და ძალოსნობას შორის ბევრი მსგავსებაა, სპორტის ეს სახეობები ერთმანეთისგან მაინც განსხვავდება. ძალისმიერ სამჭიდში ათლეტმა შტანგა მხოლოდ ფიზიკური ძალის ხარჯზე უნდა აწიოს, ძალოსნობაში კი ათლეტი იყენებს აწევის ტექნიკას, სისწრაფეს, მოქნილობას და სხვა თვისებებს. ძალისმიერი სამჭიდის შეჯიბრებებზე მოძრაობები დადგენილი თანმიმდევრობით უნდა შესრულდეს.

საქართველოს ნაკრებისა და ათლეტიზმის ფედერაციის წევრი, სპორტსმენი **ნოდარ ტატიშვილი** ძალისმიერი სამჭიდით 2008 წლიდან, 19 წლის ასაკში დაინტერესდა და ცოტა ხნის წინათ, სპორტული კარიერის გასაგრძელებლად აშშ-ში გაემგზავრა, სადაც მომავალი წლის ჩემპიონატებისთვის აქტიურად ემზადება.

ნოდარს ძალისმიერი სახეობები ყოველთვის მოსწონდა, თუმცა ამას საქართველოში არც ისე ბევრი ირჩევს. თავიდან მოყვარულის დონეზე სცადა ბედი, მერე კი, როცა შეატყო, მეტი პერსპექტივა ჰქონდა და მწვრთნელიც პროფესიონალურ დონეზე ასპარეზობისკენ მოუწოდებდა, კარგად მოემზადა და 2010 წელს, საქართველოს ჩემპიონატზე იასპარეზა, რასაც გამარჯვება მოჰყვა.

მწვრთნელებმა და ფედერაციის პრეზიდენტმა მასში მომავალი წარმატებები დაინახეს და შესთავაზეს, ამ სახეობას უფრო აქტიურად მიჰყოლოდა. 2011 წელს საქართველოს ჩემპიონატში კვლავ გამარჯვების შემდეგ, ნაკრებში აიყვანეს. შემდეგ იყო მსოფლიო ჩემპიონატი აშშ-ში, ასპარეზობა ახალგაზრდებსა და დიდებში. ფილადელფიაში ახალგაზრდებს შორის საუკეთესო სპორტსმენის თასი აიღო და ჩემპიონი გახდა, ასევე, მოხსნა რეკორდი სამივე მოძრაობაში. დიდებში კი მეორე ადგილზე გავიდა.

სპორტის ამ სახეობაში გვხვდებიან სპორტსმენები, რომლებიც გარკვეულ მოძრაობაში არიან ძლიერები, ზოგში კი – სუსტები. როგორც მწვრთნელები აღნიშნავენ, **ნოდარ ტატიშვილის** უპირატესობა ისაა, რომ მას სამივე მოძრაობაში თანაბარი შესაძლებლობები აქვს, ოღონდ ეს ყველაფერი დიდი შრომის, წვალების, თავდადების, ბევრ რამეზე უარის თქმის შედეგია. მწვრთნელის – **ნიკოლოზ სალარიძის** დახმარებითა და ფედერაციის პრეზიდენტის თანადგომით გარკვეულ შედეგებსაც მიაღწია.

მოყვარული სპორტსმენიდან, სულ მალე, პროფესიონალი სპორტსმენი ჩამოყალიბდა, რომელიც ამჟამად საკმაოდ დატვირთულია, კვირაში 6 დღე, მინიმუმ 3-4 საათს ვარჯიშობს, რეჟიმში, ტაიმერზე, როცა ყოველი წუთი და წამი გათვლილია. სწორი კვება, ბალანსი აუცილებელია, ცილებისა და ნახშირწყლების საბადო უნდა გქონდეს ორგანიზმში, რომ დატვირთვების ატანა შეძლო. ვარჯიშის პროცესი ძალიან რთულია და დიდ ყურადღებას მოითხოვს, რადგან ამხელა წონების ქვეშ ყოფნა ძნელია. ერთი შეცდომაც შეიძლება ძალოსანს ტრავმის ფასად დაუჯდეს და სპორტული ცხოვრება ვეღარ გააგრძელოს. თუმცა ტრავმისგან არცერთი სპორტსმენი დაზღვეული არ არის. ნოდარი 2012 წელს მიღებული ტრავმის შედეგად, ერთი წლის განმავლობაში მკურნალობდა, მსუბუქად ვარჯიშობდა, რომ რეაბილიტაცია სწორად მომხდარიყო და შემდეგ, კვლავ განაგრძო ასპარეზობა – 2012 წლის ბოლოს, საქართველოს ღია ჩემპიონატზე – საქართველოს თასზე გამოვიდა და მესამე ადგილი მოიპოვა. 2013 წელს, ასევე ამ სახის ჩემპიონატზე, დაახლოებით ხუთი ქვეყანა იყო ჩამოსული, მათ შორის, ირანი, აზერბაიჯანი, თურქეთი.

ნოდარ ტატიშვილის ძირითადი კონკურენტი ირანელი იყო, სამწუხაროდ, კარგ ფორმაში ჯერ კიდევ არ იყო და მესამე ადგილზე გავიდა, თუმცა კიდევ ერთმა ქართველმა აიღო ამ ასპარეზობაში საპრიზო მეორე ადგილი. წარმატებული იყო მისთვის 2014-15 წლები, როცა საქართველოს ჩემპიონი და ღია თასის პრიზიორი გახდა.

2015 წლის ნოემბერში კი ევროპის თასზე ესპანეთში, კერძოდ, **მალაგაში**, მეორე ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედალი აიღო, გუნდურ შეჯიბრებებსა და პირად სტატისტიკაში კი – საუკეთესო სპორტსმენის მესამე ადგილი.

2016 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კვლავ აშშ-ში მიიღო მონაწილეობა ზემძიმე, +120 წონით კატეგორიაში.

სამომავლო გეგმები საკმაოდ მრავალფეროვანია. 2017 წლის მარტში **დომინიკის** რესპუბლიკაში, ევროპის მასშტაბური

ჩემპიონატი ჩატარდება, რომელშიც ევროპის დაახლოებით 40 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას. შარშან ასეთივე ჩემპიონატზე ესტონეთში იასპარეზა.

აპრილში, ერთ-ერთ მოძრაობაში – წოლჭიმში მსოფლიო ჩემპიონატი ტეხასში გაიმართება, სადაც **ნოდარ ტატიშვილი** საქართველოს სახელით გამოვა. ივნისში ძალისმიერ სამჭიდში მსოფლიო ჩემპიონატი გველოდება, ამჯერად, ბელორუსიაში. მინიმუმ 60 ქვეყანასთან ერთად, საქართველოს ნაკრებიც იასპარეზებს და წარმატება ვუსურვოთ ქართველ სპორტსმენს.

ნოდარ ტატიშვილი ორიოდე სიტყვით ნიუ-იორკში ცხოვრებასაც შეეხო, სადაც სპორტსმენებისთვის შესანიშნავი პირობებია, რაზეც ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, ვერ დავიკვეხნით. ეს სპორტი არაოლიმპიურია, ამიტომ საქართველოში ყურადღებაც

და დაფინანსებაც ნაკლებია. იქ კლუბში კი იმის საშუალება აქვთ, რომ ივარჯიშონ, სწორი კვება ჰქონდეთ, ფინანსურად ეხმარებიან და ყველანაირ ხარჯს უზრუნველყოფენ. კომერციულ შეჯიბრებებზე კლუბის სახელით გამოდიან, სადაც საკმაოდ რთულია მოხვედრა და წარმატებებსაც აღწევენ, საქართველოს სახელით კი ოფიციალურ შეჯიბრებებზე – ევროპასა და მსოფლიოზე.

ნაკრებიდან დღეს-დღეობით აშშ-ში ორი სპორტსმენია **ნოდარ ტატიშვილი** და **არჩილ საშურაშვილი**. 2017 წლის შეჯიბრება ჩვენი ქვეყნისა და ფედერაციისთვის დიდი მნიშვნელობისაა, აქედან გამომდინარე, ბიჭები ცდილობენ მაქსიმალურად კარგად მოემზადონ და საუკეთესო შედეგი აჩვენონ. იქ ცხოვრება ძალიან საინტერესოა, დინამიური, აქტიური, ჩქარი. შეგუება არ გასჭირვებიათ, იქაურ სპორტსმენებთანაც დამეგობრდნენ, კარგი ურთიერთობა აქვთ. მათი ფიზიკური მომზადება საკმაოდ მაღალ დონეზეა, ამიტომ ცდილობენ, დაეწიონ, რეჟიმში იყვნენ, რათა მომავალში უფრო მეტად ასახელონ ჩვენი საქართველო.

საამაყო სპორტსმენს, **ნოდარ ტატიშვილს** ვუსურვებთ შობა-ახალ წელს და მორიგ გამარჯვებებს ვუსურვებთ!

ნათია გურგენიძე

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 18 (4539)
28 დეკემბერი, 2016 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009